

დანართი I

სსიპ ახალციხის ინსტიტუტის ადმინისტრაციული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესები

პირველი გვერდიდან

- კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგად გამოვლენილ კონკურსანტთა ინფორმირებას და მოწვევას ზეპირ გასაუბრებაზე.
- კომისიის მდივანი ადგენს ზეპირი გასაუბრების სხდომის ოქმს.

§4. კომისიის სხდომა

- საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
- ინსტიტუტის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების შერჩევას ახორციელებს საკონკურსო კომისია.

§5. კონკურსანტის შეფასება.

- კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. მომდევნო ეტაპზე გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ კანდიდატს, რომელიც წარმატებით გადალახავს კონკურსის წინა ეტაპს.
- ინსტიტუტის ადმინისტრაციის და ფაკულტეტებზე დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთების შემოწმებისა და გასაუბრების შედეგების მიხედვით.

§6. საბუთების შემოწმება

- კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია ადგენს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის შესაბამისობას საკონკურსო მოთხოვნებთან და აძლევს შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად (ფორმა №1 და №2).
- ამ პარაგრაფის პირველ პუნქტში მითითებული შემოწმების შედეგად არადაამკმაყოფილებელი შეფასების მქონე კონკურსანტი კარგავს კონკურსის მომდევნო ეტაპზე გასვლის უფლებას და ეთიშება კონკურსს.

§7. გასაუბრება

- კონკურსის მეორე ეტაპზე საკონკურსო კომისია გასაუბრების გზით ადგენს კანდიდატის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობისა და პიროვნული თვისებების დასაკავებელი თანამდებობისათვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობას. კონკურსანტის შეფასება ხორციელდება დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად (ფორმა №3).
- დადებითი შეფასების მისაღებად კონკურსანტმა უნდა გადალახოს მე-8 პარაგრაფის მეხუთე პუნქტით დადგენილი მინიმალური ზღვარი.

§8. კომისიის მიერ გადანყვეტილების მიღების წესი

- საკონკურსო კომისია კანდიდატების საბუთების შემოწმებისა და გასაუბრების შემდეგ იმსჯელებს და გამოიტანს გადანყვეტილებას.
- კომისია გადანყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის შეფასებით, მის მიერ კონკურსის თითოეული საფეხურის გავლისას მიღებული შედეგების გათვალისწინებით.
- კონკურსანტთა შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
- საკონკურსო კომისია თითოეულ კანდიდატზე ადგენს შეფასების ოქმს (ფორმა №4).
- დადებითი შეფასების მისაღებად კონკურსანტმა უნდა გადალახოს 75 ქულა.

§9. დავები კონკურსთან დაკავშირებით

- დავები, რომლებიც წარმოიშობა კონკურსთან დაკავშირებით, წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- საკონკურსო კომისიის მიერ მიღებულ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების განხილვის მიზნით იქმნება სააპელაციო კომისია.
- სააპელაციო კომისია გადანყვეტილებას იღებს ამ დოკუმენტის §6 და §7 დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადანყვეტილებების გადამოწმების საფუძველზე.

§10. სსიპ ახალციხის ინსტიტუტში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა განაცხადოს წერილობითი თანხმობა, რომ ფილიალის ადმინისტრაციამ გაუფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

დანართი 2

- განცხადება
- კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტი (უმაღლესი განათლების და სამეცნიერო ხარისხის დიპლომების ასლები)
- შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტი
- მოტივაცია / სამოქმედო გეგმა
- ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV)
- რეკომენდაციები ორგანიზაციებიდან, სადაც იყო დასაქმებული

ფორმა №1

წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასება

ძირითადი კრიტერიუმები

№	კრიტერიუმები	შეფასების საფუძველი	შეფასება
1.	კვალიფიკაცია	კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტები	დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი
2.	გამოცდილება	შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები	დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი
3.	მოტივაცია/სამოქმედო გეგმა	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი	დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი
4.	საქმიანი რეპუტაცია	შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები, რეკომენდაციები; იმ ორგანიზაციის /ორგანიზაციების რეპუტაცია, სადაც იგი დასაქმებული იყო. ორგანიზაციის რეპუტაციის გათვალისწინებით, იმ პოზიციის ადეკვატურად, რომელიც მასში ეკავა კანდიდატს.	დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი

ფორმა №2

მოტივაციის / სამოქმედო გეგმის შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმები	შეფასების საფუძველი
1.	მოტივაციის /სამოქმედო გეგმის არსის ჩამოყალიბება	კანდიდატს მოეთხოვება მოტივაციის/სამოქმედო გეგმის არსის მკაფიოდ წარმოჩენა, თითოეული დებულების ჩამოყალიბება ნათლად და გასაგებად.
2.	მოტივაციის/სამოქმედო გეგმის დასაბუთება (არგუმენტირება)	კანდიდატს მოეთხოვება საკუთარი მოტივაციის დამაჯერებლად არგუმენტირება
3.	მოტივაციის ენობრივი მხარე	კანდიდატს მოეთხოვება აზრის ენობრივად, ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა; სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა
4.	მოტივაციის /სამოქმედო გეგმის საკმარისობა და მიზნობრიობა	წარმოდგენილი მოტივაცია/სამოქმედო გეგმა საკმარისი უნდა იყოს ვაკანსიით გათვალისწინებული საქმიანობის მიმართ კანდიდატის დამოკიდებულების განსაზღვრისათვის; არ უნდა შეიცავდეს არამიზნობრივ ინფორმაციას
5.	მოტივაციის /სამოქმედო გეგმის ადეკვატურობა	მოტივაციის /სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი ადეკვატურობა განისაზღვრება ინდივიდუალურად ვაკანსიის სპეციფიკიდან გამომდინარე

ფორმა №3

ბასაუბრება

ძირითადი კრიტერიუმები

№	კრიტერიუმი	შეფასების საფუძველი
1.	პროფესიული კომპეტენცია	გასაუბრება, კვალიფიკაციისა და შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები
2.	მოტივაციის /სამოქმედო გეგმა	გასაუბრება
3.	ნორმატიული ბაზის ფლობა	გასაუბრება
4.	ზოგადი უნარ-ჩვევები (ანალიზი, სიტუაციის ადეკვატური შეფასება, რეაგირების სისწრაფე და სხვა)	გასაუბრება
5.	პიროვნული თვისებები (ურთიერთობისა და მეტყველების კულტურა)	გასაუბრება

ფორმა №4

შეფასების ოქმი №

კონკურსანტი: _____
გვარი, სახელი

დასაკავებელი ადმინისტრაციული თანამდებობა: _____

I ეტაპი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება

_____ 2008 წ.

№	კრიტერიუმი	შეფასების საფუძველი	შეფასება
1.	კვალიფიკაცია	კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტი	დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი
2.	პროფესიული გამოცდილება	შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტი	დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი
3.	მოტივაცია/სამოქმედო გეგმა	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი	დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი
4.	საქმიანი რეპუტაცია	შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები, რეკომენდაციები; იმ ორგანიზაციის რეპუტაცია, სადაც იგი იყო დასაქმებული	დამაკმაყოფილებელი/ არადამაკმაყოფილებელი

დასკვნა:

საკონკურსო კომისია
კომისიის თავჯდომარე:
წევრები: 1. _____ 4. _____
2. _____ 5. _____
3. _____ 6. _____

II ეტაპი

გასაუბრება _____ 2008 წ.

№	პრიტიკი	შეფასების საშუალება	შეფასების მაქსიმალური ქულა	შეფასება
1.	პროფესიული კომპეტენცია	გასაუბრება, კვალიფიკაციის და შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტი	40	
2.	მოტივაცია/სამოქმედო გეგმა	გასაუბრება	20	
3.	ნორმატიული ბაზის ფლობა	გასაუბრება	20	
4.	ზოგადი უნარ-ჩვევები (ანალიზი, სიტუაციის აღქმა, რეაგირების სისწრაფე და სხვა)	გასაუბრება	10	
5.	პიროვნული თვისებები (ურთიერთობისა და მეტყველების კულტურა)	გასაუბრება	10	

საბოლოო ქულა:

საკონკურსო კომისია

კომისიის თავჯდომარე:

წევრები: 1. 4.
2. 5.
3. 6.

სსიპ ახალციხის ინსტიტუტი

25.03.08 წ.

ბრძანება № 17

სსიპ ახალციხის ინსტიტუტის ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარებისათვის საკონკურსო კომისიისა და სამდივნოს შემდგომი შექმნის შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულებისა და სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის _____ „სსიპ ახალციხის ინსტიტუტის ადმინისტრაციული და სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო წესების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

I. დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ნოდარ გორიშვილი – ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ (კომისიის თავჯდომარე)
- ვარლამ თუთბერიძე - იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მ/შ (მოადგილე)
- ქეთევან გრძელიშვილი – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ (მდივანი)

წევრები:

- ციკარა ზარანდია - ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის მ/შ
- ტარიელ სისარულიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ
- ვასილ კაკულია - ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ
- თემურ გოგოლაძე - შ.პ.ს. „ტელენეტის“ სპეციალისტი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

II. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

- ლალი ბერიძე - სსიპ ახალციხის ინსტიტუტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (თავჯდომარე)
- დოდო ქუმარიტაშვილი - სსიპ ახალციხის ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო სამსახურის სპეციალისტი (მდივანი)

ბრძანება საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნდეს გაზეთში „მესხეთის უნივერსიტეტი“, განთავსდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, ჩაბარდეს ინსტიტუტის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

საფუძველი: „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის №473 ბრძანებულება, რექტორის გადაწყვეტილება.

სსიპ ახალციხის ინსტიტუტის
რექტორის მ/შ, პროფესორი

თ. გელაშვილი

შეთანხმებულია:
იურისტის მ/შ:

თ. ყუყუნაძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კონკურსის ჩატარების შესახებ

სსიპ ახალციხის ინსტიტუტის ადმინისტრაცია ახალი საშტატო განრიგის ფორმირებასთან დაკავშირებით აცხადებს კონკურსს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

თანამდებობების დასახელება,	საშტატო ერთეული,	თანამდებობრივი სარგომ:	თანამდებობების დასახელება,	საშტატო ერთეული,	თანამდებობრივი სარგომ:
რექტორის აპარატი:			სასწავლო პროცესების მართვის სამსახური:		
რექტორის თანაშემწე	1,0	250 ლარი	სამსახურის უფროსი	1,0	650 ლარი
იურისტი	1,0	650 ლარი	მთ. სპეციალისტი		
კანცელარია:			სამეცნიერო დარგში	1,0	450 ლარი
კანცელარიის გამგე	1,0	450 ლარი	სპეციალისტი	1,0	250 ლარი
ადმინისტრაცია:			სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური:		
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწე	1,0	250 ლარი	სამსახურის უფროსი	1,0	650 ლარი
საფინანსო სამსახური:			სპეციალისტი	2,0	250 ლარი
საფინანსო სამსახურის უფროსი	1,0	800 ლარი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:		
სპეციალისტი	1,0	350 ლარი	სპეციალისტი	1,0	250 ლარი
აღრიცხვა – ანგარიშგების განყოფილება:			საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური:		
განყოფილების უფროსი	1,0	650 ლარი	სამსახურის უფროსი	1,0	650 ლარი
უფროსი სპეციალისტი	2,0	450 ლარი	სპეციალისტი (ვებ-გვერდი)	1,0	250 ლარი
შესყიდვების განყოფილება:			საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი:		
განყოფილების ხელმძღვანელი	1,0	450 ლარი	ცენტრის უფროსი	1,0	650 ლარი
სპეციალისტი	1,0	350 ლარი	სპეციალისტი	2,0	250 ლარი
მატერიალური რესურსების მართვის სამსახური:			ფაკულტეტის ადმინისტრაცია:		
სამსახურის უფროსი	1,0	700 ლარი	დეკანის მოადგილე	2,0	350 ლარი
ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება:			სპეციალისტი	6,0	250 ლარი
განყოფილების გამგე	1,0	500 ლარი	სამეცნიერო ბიბლიოთეკა:		
სპეციალისტი	1,0	250 ლარი	ბიბლიოთეკის გამგე	1,0	300 ლარი
			სპეციალისტი	2,0	200 ლარი

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV);
- 1 ფოტოსურათი (ზომით 3 / 4);
- პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი;
- უმაღლესი განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- სამოქმედო გეგმა ან მოტივაცია საკონკურსო თანამდებობის ფარგლებში;
- რეკომენდაციები (იმ სამსახურიდან, სადაც იყო დასაქმებული).
- შრომითი გამოცდილების ამსახველი დოკუმენტი

კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- სამუშაო გამოცდილება, პროფილური მიმართულებით (სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის არანაკლებ 1 წლისა)
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა (რიგ თანამდებობებზე, სპეციფიკურობის გათვალისწინებით სავალდებულო);
- თანამდებობისადმი წაყენებული სპეციფიკური მოთხოვნების გაცნობა შესაძლებელია საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

კონკურსის ჩატარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი: – დგინდება კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე. (ვადები 5 აპრილიდან – 9 აპრილამდე)

II ეტაპი: – ჩატარდება გასაუბრება საკონკურსო კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკით (10 აპრილიდან – 14 აპრილამდე) (გასაუბრების გრაფიკის გაცნობა შესაძლებელი იქნება საკონკურსო კომისიის სამდივნოში). საკონკურსო კომისიის დასკვნა შესაძლებელია გასაჩივრდეს გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში (15 დან – 19 აპრილამდე)

საკონკურსო საბუთების შემოტანის ვადა: 2008 წლის 25 მარტიდან 4 აპრილის ჩათვლით.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 18 საათამდე.

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ.№106, სსიპ ახალციხის ინსტიტუტი, II სართული, სასწავლო – სამეცნიერო განყოფილების ოთახი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საკონტაქტო ტელეფონზე: 893 633387

სსიპ ახალციხის ინსტიტუტი

27.03.08 წ.

ბრძანება N 18

2007-08 სასწავლო წელს საგაზაფხულო სემესტრისათვის
მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების დანიშვნის შესახებ

სსიპ ახალციხის ინსტიტუტში 2007-08 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრისათვის აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა მაქსიმალური კვოტის ფარგლებში ცხადდება კონკურსანტთა მიღება შემდეგი მიმართულებებით:

1. აგრობიზნესის მენეჯმენტი – მისაღები კონტიგენტი – 10
2. აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტის მენეჯმენტი მისაღები კონტიგენტი – 10
3. ქართული ენათმეცნიერება – მისაღები კონტიგენტი – 5
4. ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში – მისაღები კონტიგენტი – 5

აღნიშნულიდან გამომდინარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

I. გამოცდა უცხო ენაში ყველა სამაგისტრო პროგრამისათვის ჩატარდეს 2008 წლის 16 აპრილს.

II. გამოცდა სპეციალობებში ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:

ა. ქართული ენა	2008 წლის 18 აპრილი
ბ. ქართული ლიტერატურა	2008 წლის 19 აპრილი
გ. აგრობიზნესი	2008 წლის 18 აპრილი
დ. აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი	2008 წლის 18 აპრილი

III. მაგისტრატურაში სწავლის მსურველებმა მიმღებ კომისიას საბუთები (დანართი 1) წარუდგინოს 2008 წლის 1 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით.

IV. გამოცდების შედეგები გამოცხადდეს 2008 წლის 21 აპრილს.

V. სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს გამოცდის შედეგების გამოცხადებისთანავე, მეორე დღის 13 საათამდე.

VI. მაგისტრატურაში ჩარიცხულ სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს 2008 წლის 21 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით. დადგენილ ვადაში რეგისტრაციის გაუფლევლობის შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს სტუდენტის სტატუსს.

VII. სწავლის საფასური მაგისტრატურის ყველა სპეციალობისათვის განისაზღვროს 1800 ლარით.

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდეს გაზეთებში „მეცნიერების უნივერსიტეტი“ და „სამხრეთის კარიბჭე“, გამოცხადდეს ადგილობრივი ტელევიზიით, განთავსდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე, ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტებსა და სასწავლო-სამეცნიერო სამსახურს.

საფუძველი: „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 46, რექტორის დროებით მ/შ გადაწყვეტილება.

სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის
დროებით მოვალეობის შემსრულებელი:

თ. გელაშვილი

დანართი №1

მაგისტრატურაში სწავლის მსურველთათვის წარმოსადგენი საბუთები:

1. განაცხადის შევსებული ფორმა (კონკურსანტის განაცხადი);
2. უმაღლესი განათლების დიპლომი (დედანი) დანართითურთ და მათი შესაბამისი თითო ასლი;
3. სამი ფერადი ფოტოსურათი, ზომებით 3X4 სმ;
4. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი (პასპორტის);
5. სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების დამადასტურებელი საბუთი (ვაჟებისათვის);
6. ცალკეული სამაგისტრო პროგრამების წინაპირობების შესაბამისი დამატებითი საბუთები (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ა. შ. მათი არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ახალციხის ინსტიტუტი
მისამართი: ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ.: (+995) 22 890 400 191

ვებ-გვერდი: www.akhaltsikhe.edu.ge
მთავარი რედაქტორი: თამუნა უჩიძე
ტელ.: 893 17 65 46